




ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირება ადგილობრივ დონეზე



ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირება ადგილობრივ დონეზე

დოკუმენტი მომზადებულია ამირან
დათეშიძის და გია კაკაჩიას მიერ ევროკავშირის
(EUD) მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის
„პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად“
ფარგლებში

ეს მასალა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად
პასუხისმგებელია CHCA, ASB საქართველო, KRDF და შესაძლოა, რომ იგი არ
გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

1. თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა 4
2. თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკის მიმოხილვა 10
3. ადგილობრივ დონეზე ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირების სახელმძღვანელო რეკომენდაციები (Guiding recommendations) 14

შესავალი

ევროკავშირის დაფინანსებით, არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB) საქართველო, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთთან (CHCA) და კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდთან (KRDF) პარტნიორობით, 2018 წლიდან ახორციელებს პროექტს „პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად“, რომლის მთავარი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და პარტნიორობის გაზრდა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის სოციალური საჭიროებებისა და სოციალური პროგრამების ანალიზი.

აღნიშნული ანალიზის, ასევე სხვა შესაბამისი კვლევების, ანგარიშების, სამართლებრივი აქტების განხილვისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები მუნიციპალური ხელისუფლებებისთვის, რაც მათ დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებასა და ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების უზრუნველყოფაში.

1. თვითმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა

ხელისუფლების განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის საბაზისო დოკუმენტია „საერთაშორისო პაქტი – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის მიხედვით თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეების წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით.

საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმისა და საშუალებების შესახებ, ასევე საზოგადოების ჩართულობის შეფასებისა და მონიტორინგის თაობაზე ევროპის საბჭოს გამოცემული აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და სპეციალური გაიდლაინები².

საკუთარი უფლებების განხორციელებისთვის მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები განერილია შესაბამის სპეციალურ კონვენციებშიც. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს 2006წ. კონვენციაში.

ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ჩართულობის თვალსაზრისით, რაც გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე პირველადი, პირდაპირი და ეფექტური საშუალებაა, საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს ქმნის „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი (შემდგომში დამატებითი ოქმი). საქართველოში მას ავსებს „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.“

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილია თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმები:

- ◆ დასახლების საერთო კრება;
- ◆ პეტიცია;
- ◆ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

1 საერთაშორისოპაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. იხ. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>

2 Recommendation CM/Rec(2018)4 of the Committee of Ministers to member States on the participation of citizens in local public life ევროპისსაბჭო: მინისტრთაკომიტეტი, რეკომენდაცია CM/Rec (2018)4, წევრი სახელმწიფოებისათვის: ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ; at:<https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2721001&SecMode=1&DocId=234770&Usage=2>.

- ◆ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- ◆ მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. (ამომრჩეველთან ანგარიშგება)

კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოებს ევალებათ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან სათანადო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები. კოდექსი მუნიციპალიტეტებს აძლევს ფართო შესაძლებლობას განსაზღვრონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმებიც. მოცემულ ფარგლებში, მუნიციპალიტეტებს განსაზღვრული აქვთ მონაწილეობის შემდეგი ფორმები: მონაწილეობითი ბიუჯეტი, საზოგადოებრივი დარბაზი, ღია კარის სხდომა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო და შშმ-პირთა საკითხების საბჭო. ამასთან, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით დააფინანსონ სპეციალური პროგრამებიც.

დასახლების საერთო კრება

პრაქტიკაში დასახლების საერთო კრებების მოწვევა ყველაზე ხშირად უკავშირდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხილვასა და შერჩევას. აქედან გამომდინარე, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე თავად მოსახლეობის მხრიდან ხშირად დასახლების საერთო კრება გაიგივებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან.³

პეტიცია

კოდექსი ითვალისწინებს პეტიციის ფორმით მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ამომრჩეველთა მიმართვის შესაძლებლობას. ამასთან, საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესიც. პრაქტიკაში პეტიციის გამოყენების ფორმა, ისევე, როგორც ჩართულობის სხვა ფორმები სათანადოდ არ არის რეალიზებული. მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვის პეტიციით მიმართვის მექანიზმის გამოყენების წესი და პირობები უცნობია.⁴

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მენარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სოციალური მიმართულების აქტების პროექტები.

საბჭო იკრიბება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. კოდექსით არ არის განსაზღვრული სამოქალაქო მრჩე-

3 სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა. (ანგარიში) 2021. Charity Humanitarian Centre “Abkhazeti” (CHCA)

4 სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა. (ანგარიში) 2021. Charity Humanitarian Centre “Abkhazeti” (CHCA)

ველთა საბჭოს შექმნა უფლებამოსილებაა თუ ვალდებულება. ასევე, ბუნდოვანია მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების წესი და წევრთა შერჩევის კრიტერიუმები. კოდექსის მიხედვით, საბჭოს საქმიანობა დაინტერესებული მხარეებისთვის ღია და გამჭვირვალეა, თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ საბჭოების აქტიურობა დიდწილად ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების, ან სოციალური ჯგუფების ინიციატივებზეა დამოკიდებული, რომლებიც თავიანთი ინტერესების ადვოკატირებას ცდილობენ. თემის და მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის საბჭოების არსებობა ცნობილი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს წევრებს მერიის თანამშრომლებადაც მოიაზრებენ.⁵

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის სხდომებში მონაწილეობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ დაესწრონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს. თუმცა, რეალურად, საკრებულოს ან კომისიის სხდომაზე დასასწრებად მოქალაქემ უნდა მოიპოვოს საკრებულოს შენობაში შესვლის ნებართვა. ნებართვის გაცემის უფლება აქვთ მხოლოდ საკრებულოს წევრებს ან, აპარატის თანამდებობის პირებს, რაც პრაქტიკაში იწვევს მოქალაქეთა კანონით მინიჭებული უფლების შეზღუდვას. ამასთან, სხდომაზე ფიზიკურად დასწრების შემთხვევაშიც, არ არის გარანტირებული განსახილველი საკითხების შესახებ მოქალაქეთა მიერ საკუთარი მოსაზრებების დაუბრკოლებლად წარდგენის შესაძლებლობა, რადგან ამას სხდომის თავმჯდომარის ნებართვა სჭირდება.

სხდომაზე დასწრებისა და მოსაზრების წარდგენის შემთხვევაშიც კი, შეზღუდულია მოქალაქის გავლენა საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირებაზე, რადგან საკრებულოს და კომისიას მერისთვის/გამგებლისთვის მხოლოდ თავიანთი რეკომენდაციების გაგზავნა შეუძლია, რომელიც უფლებამოსილია, გაითვალისწინოს, ან არ გაითვალისწინოს ეს შენიშვნები.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწიონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან. წარუდგინონ ანგარიში განული მუშაობის შესახებ და უპასუხონ ამომრჩეველთა შეკითხვებს. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას. ანგარიშების საჯაროდ გამოქვეყნება სავალდებულოა.

მიუხედავად იმისა, რომ მერისა და საკრებულოს წევრების ანგარიშების წარდგენა მათი საქმიანობის გამჭვირვალეობისა და საჯაროობის მნიშვნელოვანი მექანიზმია, პრაქტიკაში ანგარიშის წარდგენას ფორმალური ხასიათი აქვს. ხშირ შემთხვევაში, თანამდებობის პირები ან საერთოდ არ წარადგენენ ანგარიშს, ანდა მოხსენებით გამოდიან დახურული აუდიტორიის – ადგილობრივი მოხელეების და მუნიციპალური ააიპ-ების/შპს-ების თანამშრომლების წინაშე, შინაარსობრივი მსჯელობისა და კრიტიკული განხილვის გარეშე.

5 სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა. (ანგარიში) 2021. Charity Humanitarian Centre “Abkhazeti” (CHCA)

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები

საქართველოს მუნიციპალიტეტები თვითმმართველობის განხორციელებისას იყენებენ მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებით ფორმებს, საიდანაც გამოვყოფთ მონაწილეობით ბიუჯეტს და შშმ-პირთა საკითხების საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობას.

შშმ-პირთა საკითხების საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი. საბჭო ძირითადად, სხვადასხვა მუნიციპალური თუ სახელმწიფო საჯარო დაწესებულებების და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ფორმირდება. საბჭოების ძირითადი ფუნქციებია: შშმ პირების საკითხებზე მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა; შშმ პირთა უფლებების დაცვა; შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და სხვა. რეალურად, არსებული საბჭოების ეფექტიანობაც დაბალია, ძირითადად ფორმალური ხასიათისაა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის აქტიურ და სისტემატურ მონაწილეობას ვერ უზრუნველყოფს.

მონაწილეობითი ბიუჯეტი საჯარო რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა ჩართვის მექანიზმია, თუმცა მუნიციპალიტეტების მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის აღსრულებისა და ანგარიშგების პროცედურა სამართლებრივად სრულყოფილად არ არის განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, პროგრამაში ჩართულობა მზარდია. მაგრამ, მონაწილეობითი ბიუჯეტის გამოყენებისას სოციალური პროექტების დაფინანსების მაგალითები თითქმის არ გვხვდება. არსებული რეგულაციები მოწყვლად სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული პროექტების წახალისების მექანიზმების არსებობას არ ითვალისწინებს.

სხვა სამართლებრივი აქტები და სტრატეგიული დოკუმენტები

როცა ვსაუბრობთ მოქალაქეთა მონაწილეობაზე თვითმმართველობაში, მათ შორის სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში, ეს უპირველეს ყოვლისა გულისხმობს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას. საჯარო დაწესებულებების ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება/გამოიხატება ადმინისტრაციული აქტით, რაც შეიძლება იყოს ზეპირი, ან წერილობითი. ამდენად, როცა საუბარია გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობაზე, იგულისხმება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის მომზადების პროცესში მონაწილეობა.

საქართველოში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ძირითადი მარეგულირებელი აქტია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების წესს. კოდექსი ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უფლებას. კერძოდ, კოდექსის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესი მექანიზმია **ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა**.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 851-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, გაატარონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის. მუნიციპალიტეტის ორგანოები ასევე ვალდებული არიან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ:

- ◆ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია;
- ◆ საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, ბიუროს, მთავრობის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, დასახლების საერთო კრების ოქმები;
- ◆ ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და მისი გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
- ◆ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და მისი შესრულების ანგარიში;
- ◆ მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა;
- ◆ მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშებიგანუული მუშაობის შესახებ;
- ◆ პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, როგორცაა ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სტრატეგიების პროექტები; ასევე, საჯარო გადანყვეტილებების განმაპირობებელი კვლევები თუ მოქალაქეთა მიერ წარდგენილი მოსაზრებები.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ხარისხი დაბალია, რადგან არსებული მექანიზმების გამოყენების პროცედურა და შესაბამისი პასუხისმგებლობები სამართლებრივად სათანადოდ არ არის რეგლამენტირებული. ეს ადგილობრივ ხელისუფლებას უტოვებს შესაძლებლობას, რომ ჩართულობის არსებული მექანიზმები პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით გამოიყენოს.

არაეფექტურად ხდება ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების - ვებ გვერდების თუ სოციალური მედიის გამოყენება. მუნიციპალიტეტებს აქვთ ვებ-გვერდები და სხვა შესაბამისი რესურსები, თუმცა ამ შესაძლებლობების გამოყენება არ არის ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობისკენ, ფორმალური ხასიათისაა, ან ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის შესაბამის მოხელეთა შეხედულებით მიზანშეწონილად მიჩნეულ რეჟიმსა და ფორმატში.

რაც შეეხება ადგილობრივ მედია საშუალებებს, ისინი, მუნიციპალიტეტის თხოვნით, ყველაზე ხშირად აშუქებენ სოფლის მხარდაჭერის პროექტის მიმდინარეობას, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით, დაუყოვნებლივ, ან არა უგვიანეს 10 დღისა.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის შემთხვევაში, განსაზღვრავს სანქციებსაც. თუმცა, ინფორმაციაზე წვდომის არსებული მექანიზმები მაინც არაეფექტურია⁶.

აღსანიშნავია, რომ ჩართულობის არსებული შესაძლებლობებით სარგებლობა კიდევ უფრო შეზღუდულია იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც ესაჭიროება ადაპტირებული კომუნიკაციის საშუალებები, მოქალაქეებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, შესაბამის აღჭურვილობასა და ინტერნეტზე (მ.შ. სათანადო ხარისხის) ხელმისაწვდომობა/წვდომა, ენობრივი ბარიერის მქონე მოქალაქეებისთვის და ა.შ.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა და სტრატეგია გაცხადებულია „**საქართველოს დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიაში და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 სამოქმედო გეგმაში**“⁷. კერძოდ, სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადანაცვლების მიღებისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა.

დასკვნა/შეჯამება

როგორც მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით არსებული მექანიზმების განხილვიდან ირკვევა, არსებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტიურ და ეფექტიან მონაწილეობას.

არ ჩანს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულების და ჩართულობის საკმარისი ინტერესი და ნება, შესაბამისად, არც ადეკვატური ეფექტური პროცედურები არსებობს.

დაბალია მოქალაქეების მხრიდან აქტიურობის დონეც, რაც მათი ინფორმირების დაბალიხარისხით და პროცესში მონაწილეობის მიმართ ნაკლები მოლოდინით არის განპირობებული.

ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვის, კომპლექსური და სისტემური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უკვე განხორციელებული კვლევების საფუძველზე მომზადებული შესაბამისი რეკომენდაციების⁸ გათვალისწინება, თუმცა, შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, მაინც შესაძლებელია მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდა, რისთვისაც, ვფიქრობთ, ეფექტური იქნება შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

6 საჯარო გადანაცვლების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა - საერთაშორისო სტანდარტები, საზღვარგარეთის პრაქტიკა და საქართველოს რეალობა www.asb.ge

7 დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020–2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №678. 31.12. 2019
სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა. (ანგარიში) 2021. Charity Humanitarian Centre “Abkhazeti” (CHCA)

8 სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა. (ანგარიში) 2021. Charity Humanitarian Centre “Abkhazeti” (CHCA)

2. თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკის მიმოხილვა

თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის კონგრესის მონიტორინგის კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც წარმოდგენილია საქართველოს მიერ თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის შედეგები და სხვა საკითხებთან ერთად, შეფასებულია თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის კუთხით არსებული პირობები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩართულობის არსებული მექანიზმები ძირითადად საკონსულტაციო სახისაა და სუსტი ზეგავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რამაც, შესაძლოა გამოიწვიოს მოქალაქეთა იმედგაცრუება და მნიშვნელოვნად დააზიანოს მონაწილეობის პრაქტიკის განვითარება⁹.

მმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტია „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ (OPEN BUDGET INDEX), რაც ბიუჯეტის ღიაობას, საბიუჯეტო ზედამხედველობას და მასში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს აფასებს. მართალია, ინდექსი მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე გამოიყენება, მაგრამ საგულისხმოა, რომ მისი მიხედვით, ამ დონეზეც, მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს¹⁰.

თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკის შეფასებისთვის აღსანიშნავია საქართველოს არასამთავრობო სექტორის ინიციატივით 2017 წელს შემუშავებული ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, რომელიც მუნიციპალიტეტებს აფასებს სამი მიმართულებით: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ელექტრონული მმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა, ანგარიშვალდებულება. ინდექსი ფარავს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს და 2 წელიწადში ერთხელ ქვეყნდება¹¹. საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2021 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი 28%-ია, რაცუთანაბრდება 2019 წლის მაჩვენებელს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა. შეფასების შედეგებით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი - 2019 წლის შედეგებთან მიმართებით 2%-ით გაუმჯობესდა (25%-დან 27%-მდე); იგივე დარჩა ელექტრონული მმართველობის მაჩვენებელი (32%); ხოლო, მოქალაქეთა

9 Local and regional democracy in Georgia Report, CG35(2018), 7 November 2018: https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=09000016808e551a

10 <https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/country-results/2019/georgia>

11 <http://www.lsgindex.org/>

მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 6%-ით შემცირდა (29%-დან 23%-მდე).¹²

მოქალაქეთა ჩართულობასოციალურ საკითხებში

თვითმართველობის პროცესში მოქალაქეთა და ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობასთან დაკავშირებული ზოგადი გამოწვევები კიდევ უფრო მწვავეა სოციალური საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას და ამ მიმართულებით პოლიტიკის ფორმირებისას, რადგან, ის მოქალაქეები, რომელთა ცხოვრებაზეც აისახება სოციალური პოლიტიკის შედეგები და უშუალოდ უნდა იყვნენ დაინტერესებული მასზე გავლენის მოხდენით, ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ და ჩართულობასთან დაკავშირებით დამატებითი ბარიერები აქვთ.

ამას მონიშნავს ჩატარებული კვლევები¹³, რომელთა მიხედვით, მუნიციპალიტეტები ვერ პასუხობენ მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს; დაბალია სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მოქალაქეების ჩართულობა და მუნიციპალიტეტების პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებულია ერთჯერად სოციალურ დახმარებაზე, ვიდრე სოციალური საჭიროებების გრძელვადიან დაკმაყოფილებასა და გადანაცვლებაზე. ძირითადად, მოქალაქეები არიან დახმარების პასიური მიმღებნი და არა მათი აქტიური ჩართულობით შექმნილი სოციალური პროგრამების მოსარგებლები.

წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტებში მწვავეა დემოგრაფიული პრობლემები, გამოწვევას წარმოადგენს გარე და შიდა მიგრაცია, ჯანდაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები, ჯანდაცვის სერვისები და მათზე ხელმისაწვდომობა; უფასო სასადილოს/კვების მომსახურება; განათლებისა და დასაქმების მხარდამჭერი სერვისები (განსაკუთრებით, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის); კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი, ან/და ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი პროგრამები; შინმოვლის სერვისები ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის; შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მიმართული ინტერვენციები; მხარდამჭერი პირების დამხმარე სოციალური პროგრამები; მშობელთა განათლება და მშობელთა მხარდამჭერი ინტერვენციები, რაც მიმართულია შესაბამისი საჭიროების მქონე მშობლებში ფუნქციურიუნარების განვითარებასა და პოზიტიური მშობლობის ნახალისებაზე; ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის, ვირტუალურ სასწავლო-საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის, და ზოგადად, თანამედროვე ციფრულ საინფორმაციო შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობისთვის;

არსებული მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები ვერ ფარავს არსებულ საჭიროებებს. მათ შორის Covid-19 პანდემიის კონტექსტში წარმოქმნილ მწვავე საჭიროებებს მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებისა და ვაქცინაციის ხელშეწყობის მიმართულებით.

12 https://idfi.ge/ge/national_assessment_of_georgian_municipalities_2__1?fbclid=IwAR3kv6DyXDrqHVp_YsqyHIqAhUTKYZCOyW2hBrAf81xGrWkpTJ3kPmqEDE

13 სოციალური სერვისები საქართველოში გზამკვლევი „სამოქალაქო ჩართულობა - პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად“ ASB საქართველო, CHCA, KRDF. 15.10.2018

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (ახალციხე, ბოლნისი, ლაგოდეხი) ამას ემატება ენობრივი ბარიერი.

მუნიციპალიტეტებში იშვიათია სოციალური მომსახურების დაფინანსების პრაქტიკა და სოციალური მხარდაჭერა ძირითადად წარმოადგენს ერთჯერად ან მრავალჯერად ფულად გასაცემებს ან/და ვაუჩერს. პროგრამები ნაკლებადაა ორიენტირებული პრევენციასა და ადრეულ ინტერვენციებზე, შესაბამისად, დაბალეფექტიანია.

გამოწვევებია მუნიციპალური სოციალური პროგრამების შედგენასა და ადმინისტრირებაში. პრობლემად იკვეთება პროგრამების დასაბუთების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და მათი წერილობითი ჩამოყალიბება.

პროგრამები მოკლებულია მტკიცებულებებზე დაფუძნების პრაქტიკას. დაბალია მონაწილეობითი მიდგომების გამოყენება. პროგრამების ადმინისტრირებაში არ არის გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები. მუნიციპალიტეტების მიერ დასახლებული საჭიროებების მოკლევადიანი პრაქტიკა – მერის წარმომადგენლებიდან ინფორმაციის შეკრება და შესაბამისი სასახურებიდან სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება საჭიროებების შესწავლის სრულფასოვან მექანიზმად.

მოსახლეობაში დაბალია არსებული სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმირების დონე და არასკმარისია მათი ინფორმირებისთვის გამოყენებული არხები და საშუალებები. მოსახლეობასთან ძირითადი საკონტაქტო პირები არიან თემში მერის წარმომადგენლები (ყოფილი რწმუნებულები), რომლებიც გადასცემენ ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობას, და პირიქით - მოაქვთ ინფორმაცია მერიაში მოსახლეობის საჭიროებებთან დაკავშირებით. თუმცა, მიმდინარე პერიოდში, პანდემიის გამო, მოსახლეობასთან შეხვედრებიც შეფერხებულია.

მუნიციპალიტეტები მოსახლეობის ინფორმირებისთვის იყენებენ სოციალურ ქსელს. პროგრამები იგეგმება და საჭიროება განისაზღვრება გასული წლის მომართვიანობაზე დაყრდნობით.. საბიუჯეტო განხილვის პროცესში დაგეგმილი შეხვედრებისას მოქალაქეებს წარუდგენენ უკვე მომზადებულ ბიუჯეტს, სადაც ცვლილებების შეტანის და ახალი ინიციატივების გათვალისწინების ალბათობანაკლებად მოსალოდნელია.

იკვეთება საინტერესო გარემოება: საკმაოდ მაღალია იმ ადამიანთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა იციან, რა სახის სოციალური სერვისები სჭირდება მის მოსახლეობას, თუმცა ბიუჯეტი არ იძლევა ამის საშუალებას. ამ მოსაზრებას ეთანხმება მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოკითხული რესპოდენტების 40%-დან 70%-მდე, საშუალოდ 51%. საშუალოდ 31% კი თვლის, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მოსახლეობას აწვდის მათთვის საჭირო ყველა სოციალურ სერვისს.

ჩართულობა ასევე გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობას. კვლევები ადასტურებს, რომ მწირია ჩართულობის პრაქტიკები

ორგანიზაციების დონეზეც. მუნიციპალური პროგრამები ყალიბდება დაინტერესებული ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე. მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის პრაქტიკა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ძირითადად, მათთვის სოციალური დანიშნულებით შენობა-ნაგებობების გადაცემით შემოიფარგლება. ნაკლებია სოციალური პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა. ხშირად, მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღიქვამენ უფრო ოპონენტებად, ვიდრე პარტნიორებად. ჩართულობის კარგი პრაქტიკები იშვიათი და არასისტემურია, რაც კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა.

სოციალური მიმართულებით მუნიციპალიტეტები არ შეიმუშავებენ სტრატეგიულ დოკუმენტებს, თუნდაც პროგრამების ან რაიმე სხვა საქმიანი ქალაქის სახით. ამიტომ, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რაც შესაბამისობაში იქნება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებთან და სადაც აისახება ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების და აქტიური მოქალაქეების ჩართულობით იდენტიფიცირებული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები.

3. ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირება. სახელმძღვანელო რეკომენდაციები

ზადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია შესაბამისი ვალდებულებების გამყარება გამართული სამართლებრივი ნორმებით და მის აღსრულებაზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელება. თუმცა, სათანადო ნების არსებობის შემთხვევაში, მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებელია არსებული სამართლებრივი ჩარჩოს პირობებშიც, რასაც ემსახურება ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

რეკომენდაციები ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩართულობითი, პროაქტიული და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო კონკრეტულ ღონისძიებებს პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე (**დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგი-ანალიზი**). ამასთანავე, აუცილებელია სოციალური პოლიტიკის **მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება**-სოციალური პოლიტიკის პროცესში მონაწილე აქტორების ცნობიერების გაზრდა და სამოტივაციო პირობების შექმნა. ამდენად, შემოთავაზებული რეკომენდაციები მოიცავს ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებსაც, ისევე, როგორც საჭირო **ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის გასატარებელ აქტივობებს**.

ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ციკლი

I ეტაპი: დაგეგმვა

1. საჭიროებების გამოვლენა.

მნიშვნელოვანია, საჭიროებების გამოვლენა მოხდეს სხვადასხვა ფორმის, მასშტაბისა და მიზნობრიობის ღონისძიებებით.

ფართო საზოგადოების განწყობებისა და მოსაზრებების შესწავლის საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებრივი აზრის კვლევა. მიზანშეწონილია, კვლევა ორგანიზება კვალიფიციურმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ ითავოს. თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატივა შეიძლება იყოს მუნიციპალური სამსახურების ძალებით **სპეციალური კითხვარების შედგენა და მოსახლეობის გამოკითხვა. გამოკითხვის პარალელურად შესაძლებელია ჩართულობის არსებული მექანიზმის - მოსახლეობის საერთო კრებების ორგანიზება პრიორიტეტული სოციალური საკითხების გამოვლენის მიზნით, რაც დადასტურდება კენჭისყრით და გაფორმდება ოქმით.**

მიზნობრივი სოციალური ჯგუფების (შშმპ, ბავშვიანი, ხანდაზმულები და სხვა) პრიორიტეტების შესწავლისთვის საჭიროა ამ ჯგუფებზე ტარგეტირებული (მიზნობრივი) კვლევის განხორციელება. მიზანშეწონილია, კვლევა ჩაატაროს კვალიფიციურმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ. ამასთანავე, საჭიროა სოციალურ საკითხებზე შემოსული განცხადებების/პეტიციების/პროექტების აღრიცხვა და სისტემატიზება.

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში კვლევის ჩატარება როგორც მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტების, ისე ორგანიზაციული საჭიროებების გამოვლენის მიზნით. როგორც წესი, საქართველოს რეგიონებში არასამთავრობო სექტორი არ არის მრავალრიცხოვანი, ამიტომ ასეთი კვლევა შესაძლებელია განხორციელდეს თვითმართველობის ძალებით – შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების გზით.

2. ინფორმაციის დამუშავება

ამ ეტაპზე მიმდინარეობს წინა საფეხურზე მოპოვებული რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის გაანალიზება და პრიორიტეტების ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი და დასკვნები ჩამოყალიბდეს წერილობითი ანალიტიკური ანგარიშის ფორმით, რაც საფუძვლად დაედება შემდგომ გადაწყვეტილებებს. შესაბამისი რესურსის და კვალიფიკაციის შემთხვევაში, ეს სამუშაო შეიძლება შეასრულოს მუნიციპალიტეტის სოციალურმა სამსახურმა, თუმცა, უკეთესია პროცესში მონაწილეობდნენ სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტი და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

თუკი მოქალაქებთან და ორგანიზაციებთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მონაცემთა ბაზა (საკონტაქტო ინფორმაცია- ტელეფონი, ელ. ფოსტა და ა.შ), **რეკომენდებულია, შეიქმნას საკომუნიკაციო ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების ინფორმირებისა და შესაბამისი ინფორმაციების გავრცელებისთვის.**

3. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

ეს საფეხური მოიცავს გამოვლენილ საჭიროებებთან დაკავშირებით მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ორგანიზებას მათი ინფორმირების და გამოკვეთილი პრიორიტეტების გაცნობის მიზნით. კონსულტაციებისას შესაძლებელია მოქმედისაკონსულტაციო საბჭოების ფორმატის გამოყენება; მნიშვნელოვანია საბჭოს არანევრ, სოციალურ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აქტიურ მოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზება. სასურველია, გამოვიყენოთ მოსახლეობის საერთო კრება, როგორც ჩართულობის მექანიზმი. მნიშვნელოვანია, საკონსულტაციო შეხვედრებზე თავი ავარიდოთ მოქალაქეთათვის ინფორმაციის ცალმხრივად მიწოდებას და შევქმნათ ინტერაქციისა და უკუკავშირის შესაძლებლობა. სწორედ ინტერაქციისა და უკუკავშირის სიხშირე და ხარისხი განსაზღვრავს, რამდენად წარმატებულია ღონისძიება.

ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ არსებობს მუნიციპალიტეტებში მოქმედი საკონსულტაციო საბჭოების (სამოქალაქო მრჩველთა, შშმ საკითხთა, გენდურული და სხვა) ეფექტიანობის ზრდის რესურსი, რისთვისაც მნიშვნელოვანია საბჭოების ფორმირებისა და ფუნქციონირების გამჭვირვალე და სამართლიანი წესების ჩამოყალიბება, საბჭოების უფლებამოსილების გაფართოება.

აუცილებელია, მუნიციპალიტეტში არსებული, კვლევით დადასტურებული სოციალური საჭიროებებისა და გამოკვეთილი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მიენოდოს მოსახლეობის ფართო წრეს, რისთვისაც უნდა მივმართოთ ადგილობრივ მასშედის, წარვმართოთ სოციალური მედია კამპანია და სხვა. შედეგად, ინფორმაცია ადგილობრივ სოციალურ პრიორიტეტებზე მიღებული უნდა ჰქონდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 70%-ს, რაც მათ სოციალური პროგრამებისა და ბიუჯეტის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას მისცემს.

4. გადანყვეტილების მომზადება

მნიშვნელოვანია, თითოეულ მუნიციპალიტეტს რაიმე ფორმით შემუშავებული ჰქონდეს სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, პროგრამა და ა.შ), რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მოქალაქისთვის. სოციალურ საკითხებზე გადანყვეტილების მომზადება უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის წინასწარ განსაზღვრულ მიზანსა და ამოცანებს, ასევე სხვადასხვა მოწყვლადი კატეგორიების გამოვლენილ საჭიროებებს.

სოციალურ საკითხებზე მიღებული გადანყვეტილებები უნდა გაფორმდეს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით (პროგრამა/ ბიუჯეტი/ ნორმატიული აქტი). **ადმინისტრაციული აქტის დამტკიცებამდე მნიშვნელოვანია შესაბამისი აქტ(ებ)ის პროექტის მომზადება პრიორიტეტებისა და საჭირო პარამეტრების მიხედვით და მოქალაქეებისთვის გაცნობისა და ორმხრივი უკუკავშირის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა პროექტის განთავსება ვებ-გვერდზე და სოციალურ მედია პლატფორმაზე. ასევე, პროექტის გაცნობის შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით და ადგილობრივი მედიით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შესახებ ინფორმირებული იყოს სამიზნე და დაინტერესებული ჯგუფების არანაკლებ 70%. ღონისძიების ეფექტიანობის მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც მიღებული უკუკავშირის რაოდენობა და გათვალისწინებული წინადადებების ოდენობაა.**

საბოლოო გადანყვეტილების მიღება და ადმინისტრაციული აქტის დამტკიცება უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ეტაპების სრულფასოვნად გავლის შემდგომ.

II ეტაპი: განხორციელება

მუნიციპალიტეტის სოციალურმა სამსახურმა განსაზღვრული პერიოდულობით (წელიწადში მინიმუმ ერთხელ) წინასწარ შემუშავებული სპეციალური ფორმების გამოყენებით უნდა შეაგროვოს ინფორმაცია აღსრულების სხვადასხვა პარამეტრების შესახებ (ფინანსური, რაოდენობრივი, ოპერირების, ბიუროკრატიული ბარიერების და სხვა). ყოველი კონკრეტული პროგრამისთვის სპეციფიური ანგარიშის ფორმა უნდა განისაზღვროს. მათი შემუშავება შეუძლია შესაბამის სამსახურებს (სოციალური, საფინანსო-საბიუჯეტო), თუმცა პროცესში უნდა მონაწილეობდნენ რელევანტური გამოცდილების მქონე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე განხორციელდეს **მოსარგებლეთა კმაყოფილების/უკმაყოფილების შეფასება (შესაბამისი პარამეტრებით და მიღწეული შედეგების გაზომვით)**, რისთვისაც საჭიროა შეფასების კითხვარის შემუშავება, მოსარგებლეთა გამოკითხვა. ასევე, შემოსული განცხადებების, თხოვნების, საჩივრების, მომართვების აღრიცხვა და მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება და ანალიზი. მონაცემთა სანდოობისთვის, **სასურველია, გამოიკითხოს თითოეული პროგრამის მოსარგებლეთა არანაკლებ 30%. ამასთანავე, დროული და სრულყოფილი უკუკავშირი უნდა მიენოდოს ყველა განცხადების /წინადადების ავტორს.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამაში ჩართვაზე უარის შემთხვევების აღრიცხვას, უარის მიზეზების მიხედვით.

შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების მიხედვით, (მაგრამ, სასურველია, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც) მომზადდეს პერიოდული ანგარიში პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ანგარიში წარედგინება მუნიციპალიტეტის სამსახურებს და საკონსულტაციო საბჭოებს, რომელთა რეკომენდაციებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის კორექტირებას/დახვეწას.

III ეტაპი მონიტორინგი/კონტროლი

მნიშვნელოვანია, პროგრამის მონიტორინგის პროცესში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჩართულნი იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მიმდინარე სოციალური პროგრამის/მომსახურების მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებთან ან სხვა ფორმით დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობის პერიოდული შემოწმება სათანადო ინსტრუმენტისა და ინდიკატორების მეშვეობით, რისთვისაც აუცილებელია როგორც მონიტორინგის დამოუკიდებელი (მუნიციპალური) სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყების, მისი კომპეტენციების განსაზღვრა და საჭირო კადრებით დაკომპლექტება.

მონიტორინგის ამოცანაა კონკრეტული პროგრამული აქტივობების ბენეფიციართა საჭიროებებთან შესაბამისობის განსაზღვრა, ხარვეზების იდენტიფიცირება, მიმწოდებლების მხარდაჭერა და საბოლოო ჯამში პროგრამის/მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. მონიტორინგის სანდოობის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ მასში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. ამასთან, მუნიციპალიტეტმა უნდა წაახალისოს სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული ალტერნატიული მონიტორინგი და კვლევები, რომელთა შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება შემდეგი წლის პროგრამების დაგეგმვის დროს.

IV ეტაპი: ანალიზი

ანალიზის ეტაპი მოიცავს სოციალური პროგრამების განხორციელების პროცესში შეგროვებული ყველა მონაცემის დამუშავებას, ასევე დამოუკიდებელი მონიტორინგის/ანგარიშების/კვლევების/ინიციატივების/რეკომენდაციების გაცნობას. შედეგად, უნდა მომზადდეს სოციალური პროგრამების წლიური ანგარიში, სადაც აისახება ძირითადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები, გაანალიზდება მიღწეული შედეგები და ძირითადი გამოწვევები, მოცემული იქნება დასკვნები და რეკომენდაციები. ეს ეტაპი ამავე დროს უნდა განვიხილოთ, როგორც შემდგომი ციკლის დაგეგმვის ფაზა.

ჩართულობის და თანამონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია კონსტრუქციული უკუკავშირი დამოუკიდებელი მონიტორინგის ანგარიშების ავტორებთან.

ანალიზის ეტაპი მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციას, ინფორმაციის გაცვლას და კოორდინაციას. ამასთან, მომზადებული ანგარიშის, ანალიზისა და დასკვნების გაცნობას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის და მის განხილვას როგორც შესაბამის საკონსულტაციო და მრჩველთა საბჭოებში, ისე საბჭოს არანევრ სოციალურ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან და თემის წარმომადგენლებთან. აუცილებელია მომზადებული ანგარიშის, ანალიზისა და დასკვნების მოქალაქეებისთვის გაცნობა კომუნიკაციის არსებული არხებით და მათგან უკუკავშირის მიღება. ამისთვის გამოყენებული უნდა იქნას კომუნიკაციის სხვადასხვა და მრავალფეროვანი საშუალებები: მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მუნიციპალური ვებ-გვერდი, სოციალური მედიის გვერდები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები-ადგილობრივი რადიო/ტელევიზია და სხვა. კამპანიის სამიზნე მაჩვენებელი უნდა იყოს დაინტერესებული მოქალაქეების არანაკლებ 70%-ის ინფორმირება მომზადებული ანგარიშისა და უკუკავშირის შესაძლებლობის შესახებ. ჩართულობის შედეგიანობის შეფასება კი უნდა მოხდეს მიღებული უკუკავშირის რაოდენობის და მათზე რეაგირების მიხედვით.

ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირებისათვის საჭირო მხარდამჭერი ღონისძიებები

მაშინ, როცა ზოგადად თვითმართველობაში და კონკრეტულად სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში საზოგადოების ჩართულობა არასაკმარისია, არ არსებობს მონაწილეობის ჩვევა და პოზიტიური შედეგების მოლოდინები, მოქალაქეთა ჩართულობაზე გათვლილი აქტივობების ეფექტიანობისთვის, პარალელურად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლების **ცნობიერების გაზრდა და ნახალისების ხელშემწყობი ღონისძიებების აქტიური განხორციელება.**

კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის თანამდებობის პირების, მერის წარმომადგენლების და ადმინისტრაციული პერსონალის ცნობიერების გაზრდისთვის გამოყენებული უნდა იქნას ყველა არსებული შესაძლებლობა: ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, საინფორმაციო შეხვედრა, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და სხვა.

მეორე მხრივ, საჭიროა მოქალაქეების ინფორმირება მონაწილეობის არსისა და საჭიროების, უფლებებისა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე თვითმართველობასთან კომუნიკაციის არსებული შესაძლებლობების შესახებ. უნდა ჩამოყალიბდეს სწორი საკომუნიკაციო მესიჯები, რისი საშუალებითაც მოქალაქეებს მოვუნოდებთ აქტიური ჩართულობისკენ და, რაც მთავარია, პრაქტიკული მაგალითების პოპულარიზებით დავარწმუნებთ მონაწილეობის ეფექტურობაში. ჩართულობის წახალისებისთვის შესაძლებელია სპეციალური სამახსოვრო ჯილდოს/პრიზის დაწესება, რომელიც გადაცემა აქტიურ მოქალაქეს და ორგანიზაციას.

მოქალაქეების ინფორმირებისთვის შესაძლოა მომზადდეს და გავრცელდეს საინფორმაციო ბროშურები/ლიფლეტები; შესაძლებელია მოსახლეობასთან ხელმძღვანელი პირების შეხვედრების არსებული ფორმატების გამოყენება ან/და ახალი ფორმატების ჩამოყალიბება. გამოსადეგია ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სოციალური მედია, ადგილობრივი ტელევიზიპრესა, კარდაკარის კამპანია და სხვა. მსგავსი მხარდამჭერი ღონისძიებების მნიშვნელობის, მასშტაბურობის და კოორდინირებულად ჩატარების საჭიროების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ღონისძიებები წარიმართოს სპეციალური პროგრამის ფარგლებში.

ჩართულობის მოტივირებისთვის მნიშვნელოვანია სწრაფი უკუკავშირის უზრუნველყოფა მოქალაქეთა ინიციატივებზე, შემოსულ კითხვებზე, მომართვებზე. ამისთვის საჭიროა ჩართულობის არსებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და შესაძლო ბარიერების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის ელექტრონული პლატფორმების აქტივირება და მარტივი გამოყენებისთვის (მ.შ. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის- (ხანდაზმულები, სმენადაქვეითებული, უსინათლოები და ა.შ.) ადაპტირება (მ.შ. მონაწილეობითი ბიუჯეტის), ვიდეოინსტრუქციების და ვიზუალური მასალების განთავსება და სხვა.

სოციალური პოლიტიკის ციკლისა და მისი მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა შესაბამისი **რესურსების მობილიზება.**

ღონისძიებების განხორციელებამდე საჭიროა განისაზღვროს თითოეული ღონისძიების შესასრულებლად საჭირო ადამიანური რესურსი, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი დავალების შესრულებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მოხდეს კადრების კვალიფიკაციის შეფასება ამ მოთხოვნებთან მიმართებით. მნიშვნელოვანია შეფასება განხორციელდეს კვალიფიციური დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ.

ამის შემდგომ, ვაკანტური ადგილის შემთხვევაში, ღია და სამართლიანი კონკურსის საფუძველზე, შესაბამისი სამსახურები უნდა დაკომპლექტდეს სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომლებით. შერჩეული კადრი სისტემატიურად უნდა გაძლიერდეს (ტრენინგები, სემინარები, ვირკუოფები და ა.შ.). მიზანშეწონილია, განხორციელებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით შემუშავდეს მოკლე სატრენინგო კურსი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: თვითმმართველობაში/სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა და საჭიროება; მოხელის ქცევის კოდექსი და მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები; პროგრამების/

პროექტების წერა და მართვა; ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ვიზუალიზაცია; მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი და სხვა.

კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია მათი ფინანსური მოტივირება და სახელფასო განაკვეთების გადახედვა.

შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით სოციალური პოლიტიკის ფორმირებისთვის მოსალოდნელია, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში საჭირო იქნება ადგილობრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ფუნქციებისა და სტრუქტურის გადახედვა და კორექტირება.

პოლიტიკის ციკლის ყველა ღონისძიებების შესასრულებლად, ადამიანურ რესურსთან ერთად, აუცილებელია ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა. ამისათვის უნდა მოხდეს თითოეული ღონისძიების მიხედვით საჭირო ფინანსური რესურსის შეფასება და განხორციელდეს არსებული რესურსების ოპტიმიზების შესაძლებლობისა და დამატებით საჭირო რესურსების ანალიზი.

ცალკე უნდა ჩატარდეს გამოვლენილი სოციალური საჭიროებებისა და პრიორიტეტების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი რესურსების (ფინანსური, ადამიანური) შეფასება. ასევე, უნდა შეფასდეს არსებული რესურსების ოპტიმიზების შესაძლებლობები და დამატებითი რესურსების (ფინანსური, ადამიანური) საჭიროება, რის საფუძველზე უნდა განხორციელდეს რესურსების მობილიზების ადვოკატირება. ეს ღონისძიება ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკის ციკლში დაგეგმვის ეტაპის უმნიშვნელოვანესი საფეხური.

ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან აქტიური მუშაობა ცნობიერების ამაღლების მიზნით და მათთვის იმ ინსტრუმენტების გაცნობა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა არ იციან ნორმები, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი თემის საჭიროებების უზრუნველსაყოფად სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში გვაქვს ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის წარმატებული ურთიერთანამშრომლობის პრაქტიკა, სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევებში მოსახლეობის სოციალური საჭიროებები არ არის შესაბამისად ასახული მუნიციპალიტეტების სოციალურ პროგრამებში. სამოქალაქო სექტორის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო ფორმალურია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს სხვადასხვა საბჭოები (მრჩეველთა, შშმ პირთა, გენდერული თანასწორობის), მათ არ შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ პროგრამებისა და ბიუჯეტის ფორმირებაზე და ძირითადად შემოიფარგლებიან რეკომენდაციების გაცემით, რაც სამწუხაროდ, ხშირ

შემთხვევებში არ სრულდება. არსებული გამოწვევები შეგვიძლია დავაჯგუფოთ 3 ძირითად კატეგორიად:

1. ადგილობრივი ხელისუფლების უფლება-მოვალეობები სოციალურ სფეროში კანონმდებლობით არ არის ცალსახად გამიჯნული და ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების კეთილ ნებას წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსით მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ განხორციელონ გარკვეული აქტივობები სოციალური კუთხით, თუმცა, ეს მათი ვალდებულებაა არ არის. შესაბამისად, საჭიროა კონკრეტული ვალდებულებების (სოციალურ სფეროში) დელეგირება კანონმდებლობის დონეზე.
2. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ გაჩნია სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიული დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები, რომლითაც განსაზღვრული იქნება მუნიციპალიტეტის დონეზე სოციალურ სფეროში მისაღწევი შედეგები და განსავითარებელი მომსახურებები. აუცილებელია, თითოეულ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა (დოკუმენტურად) სოციალური მიმართულებით, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად იქნებიან ჩართული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და თემის აქტიური წევრები.
3. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ სოციალურ სფეროში (განსაკუთრებით რეგიონებში) საჭიროებენ მხარდაჭერას და გაძლიერებას, როგორც უფლებრივი კუთხით, ისე ადვოკატირების ნაწილში. ეს იქნება წინაპირობა, რომ ისინი აქტიურად ჩაერთობიან ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებაში.
4. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები მიზნობრივი კატეგორიების შესახებ და არ ახორციელებენ საჭიროებათა კვლევას. შესაბამისად, მათი პროგრამები ძირითადად შემოიფარგლება სხვადასხვა სამიზნე კატეგორიებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებებით. საჭიროა მონაცემების მუდმივი შეგროვება და ანალიზი, რათა მოხდეს ყველა მიზნობრივი კატეგორიის საჭიროებების გათვალისწინება ადგილობრივ პროგრამებში.
5. სამოქალაქო სექტორის ჩართულობის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმები, ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია. არსებულ ფორმებს მეტწილად აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი, და მასზე ადმინისტრაციული ორგანოები არ რეაგირებენ. აღნიშნული მექანიზმები საჭიროებს დახვეწას, განსაკუთრებით რეკომენდაციების და წინადადებების აღსრულების მიმართულებით. ასევე, სავალდებულო უნდა გახდეს მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე უკუგების მექანიზმების არსებობა.

ლოგიკურ ჩარჩოში წარმოდგენილი ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ეტაპები და საფეხურები, შესაბამისი რეკომენდებული ღონისძიებებით, მათი განხორციელების საშუალებებით და შესრულების ინდიკატორებით.

ეტაპი	საფეხური	აქტივობა	საშუალებები	ინდიკატორი
დაგეგმვა	საჭიროებების გამოვლენა	მოსახლეობის (საბ-ვი აზრის) კვლევის განხორციელება	(კითხვარების შედგენა/შეცხება/დამუშავება) (საერთო კრებებზე მოსმენა/ კენჭისყრა/დაოქმება)	მოსახლეობის (საბ-ვი აზრის) კვლევა ჩატარებულია. საერთო კრებებზე სოციალური საჭიროებები განხილულია
		მიზნობრივი სოციალური ჯგუფების (შპმ, ბავშვიანი, ხანდაზმულები...) საჭიროებების კვლევა	(კითხვარების შედგენა/შეცხება/დამუშავება) სოციალური საჭიროებებზე შემოწმული განცხადებების/პეტიციების/პროექტების თემატური სისტემატიზება	მიზნობრივი სოციალური ჯგუფების საჭიროებების კვლევა ჩატარებულია
		სოციალური მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევა არსებული (სოციალური და ორგანიზაციული) საჭიროებების შესახებ.	მუნიციპალური საბჭოები, კითხვათა, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები	არასამთ. ორგანიზაციების პრიორიტეტების და საჭიროებების მოკვლევა ჩატარებულია, ა.ო. ეტი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ
	ინფორმაციის დამუშავება	წინა საფეხურზე მოპოვებული ინფორმაციების (კვლევა, პეტიცია, განცხადებები და სხვა) ანალიზი და პრიორიტეტების განსაზღვრა	ანგარიშის მომზადება	საჭიროებები და პრიორიტეტები განსაზღვრულია
	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია	მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირება გამოვლენილი საჭიროებების, გამოკვეთილი პრიორიტეტების შესახებ	სატელეფონო, ელ. ფოსტების მისამართები, სოციალური ქსელები და ჯგუფები.	საკომუნიკაციო მონაცემთა ბაზები ფორმირებულია
		მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირება გამოვლენილი საჭიროებების, გამოკვეთილი პრიორიტეტების შესახებ	ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები, საკონსულტაციო საბჭოებთან და სხვა სოციალური მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრები, საერთო კრება	შეხვედრები ჩატარებულია და ინფორმაცია გამოვლენილი პრიორიტეტებისა და სტრატეგიის შესახებ მიწოდებულია. მიღებული უკუკავშირის რაოდენობა
		საკონსულტაციო საბჭოების როლის და ეფექტურობის გაზრდა და სხვა მიმართულების საბჭოების (შრობილთა, ხანდაზმულთა, დევნილთა და სხვა) მიზანშეწონილობის განსაზღვრა	საბჭოების ფორმირებისა და ფუნქციონირების გამჭვირვალე და სამართლიანი წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბება, უფლებამოსილების გაფართოება	საბჭოების დებულებები დახვეწილია და მუშაობს შესაბამისად.
		ფართო მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება გამოვლენილი საჭიროებების, გამოკვეთილი პრიორიტეტების შესახებ	სოციალური მედია კამპანია; მას-მედიაში გაშუქება.	მუნიციპ. მოსახლეობის არანაკლებ 70% ინფორმირებულია ადგილობრივი სოციალური პრიორიტეტების შესახებ.

	<p>გადაწყვეტილებების მომზადება (პროგრამის/ ბიუჯეტის/ ნორმატიული აქტის დამტკიცება)</p>	<p>პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და მათ შესაბამისად პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთა</p>	<p>სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი</p>	<p>სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი მ.შ. ვებ-გვერდზე.</p>
	<p>სოციალური პრიორიტეტების სათანადო პარამეტრებით დაკმაყოფილებისთვის ადმინისტრაციული (ბიუჯეტის/ პროგრამის/ ნორმატიული აქტის) პროექტის მომზადება</p>	<p>სოციალური პრიორიტეტული აქტის პროექტის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება და მოქალაქეთა უკმაკვირის მიღება, ანალიზი და პასუხების გაცემა.</p>	<p>ადმინისტრაციული საქმიანობა</p>	<p>ბიუჯეტის/ პროგრამის/ აქტის პროექტი მომზადებულია</p>
	<p>ადმინისტრაციული აქტის პროექტის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება და მოქალაქეთა უკმაკვირის მიღება, ანალიზი და პასუხების გაცემა.</p>	<p>სათანადო პარამეტრებით ბიუჯეტის/ პროგრამის/ ნორმატიული აქტის დამტკიცება</p>	<p>მტშ/ ვებ-გვერდი/ სოციალური მედია-პლატფორმა ადგილობრივი მას-მედია/ შემოსული წერილები</p>	<p>სამიზნე ჯგუფების არანაკლებ 70 % ინფორმირებულია მომზადებული პროექტის და უკმაკვირის საშუალებების შესახებ/ მიღებული უკმაკვირის და გათვალისწინებული წინადადებების რაოდენობა</p>
	<p>სათანადო პარამეტრებით ბიუჯეტის/ პროგრამის/ ნორმატიული აქტის დამტკიცება</p>	<p>პროგრამების/ აქტის აღსრულების პარამეტრების შესახებ ფინანსური და რაოდენობრივი ინფორმაციის მონიტორინგი</p>	<p>ადმინისტრაციული საქმიანობა</p>	<p>ბიუჯეტი/ პროგრამა/ აქტი დამტკიცებულია</p>
<p>განხორციელება</p>	<p>პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზე მოსარგებლეთა კმაყოფილების/ უკმაყოფილების შეფასება</p>	<p>პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზე მოსარგებლეთა კმაყოფილების/ უკმაყოფილების შეფასება</p>	<p>ანგარიშების ფორმების შემუშავება, შეფრთხილების პერიოდულობის განსაზღვრა და ინფორმაციის შეგროვება</p>	<p>ანგარიშების ფორმები შემუშავებულია და ინარჩუნება განსაზღვრული პერიოდულობით</p>
	<p>პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზე მოსარგებლეთა კმაყოფილების/ უკმაყოფილების შეფასება</p>	<p>პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზე მოსარგებლეთა კმაყოფილების/ უკმაყოფილების შეფასება</p>	<p>შეფასებისთვის კითხვარის შემუშავება და მოსარგებლეთა გამოკითხვა, შემოსული განცხადებები, საჩივრები</p>	<p>კითხვარი შემუშავებულია და გამოკითხულია მოსარგებლეთა არანაკლებ 30%. განხილულია და უკმაკვირი მიეწოდა ყველა განცხადების / წინადადების ავტორს</p>
	<p>პროგრამაში ჩართვაზე უარის შემთხვევების აღრიცხვა უარის მიზეზების მიხედვით</p>	<p>პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზე მოსარგებლეთა კმაყოფილების/ უკმაყოფილების შეფასება</p>	<p>ადმინისტრაციული საქმიანობა</p>	<p>აღრიცხულია უარის ყველა შემთხვევა და მიზეზი</p>
	<p>შეგროვილი ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და დასკვნების მომზადება</p>	<p>საჭიროების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე კორექტირება/ დახვეწა</p>	<p>ადმინისტრაციული საქმიანობა</p>	<p>საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ პერიოდული ანგარიშის/ მოხსენებითი ბარათის მომზადება პროგრამის/ აქტის აღსრულების შესახებ</p>

მონიტორინგი	გადაწყვეტილებების (პროგრამის/ბიუჯეტის/ ნორმატიული აქტის) აღსრულების მონიტორინგი (მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებთან და განსაზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით)	მონიტორინგის დამოუკიდებელი (მუნიციპალური) სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა	მონიტორინგის ინსტრუმენტისა და ინდიკატორების, პასუხისმგებელი უწყების, კომპეტენციების, საჭირო კადრების განსაზღვრა და დაკომპლექტება	მონიტორინგის შიდა სისტემა ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს აქტიურად ჩართულია სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი ექსპერტები
ანალიზი	ინფორმაციის დამუშავება და დასკვნების მოშვება	დამოუკიდებელი მონიტორინგის/ანგარიშების/ კვლევების/ინიციატივების/ რეკომენდაციების გაცნობა, ანალიზი და უკუკავშირის განხორციელება	ადმინისტრაციული საქმიანობა	დამოუკიდებელი მონიტორინგის ანგარიშების ანალიზი და ავტორიტეტის უკუკავშირის განხორციელება
	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია	განხორციელების ეტაპზე შეგროვებული სრული მონაცემების დამუშავება და ანალიზი	ადმინისტრაციული საქმიანობა	სოციალური პროგრამების წლიური ანგარიში მოშვებულია
		დარგობრივ სამინისტროსთან სოციალურ პროგრამებზე და პროორიტეტებზე ინფორმაციის გაცვლა	ადმინისტრაციული საქმიანობა	სოციალურ პროგრამებსა და პროორიტეტებზე ორმხრივი წერილობითი კომუნიკაცია განხორციელებულია
		მოშვებული ანგარიშის, ანალიზისა და დასკვნების მოქალაქეებისთვის კომუნიკაციის არსებობა და უკუკავშირის უზრუნველყოფა	მტშ/ვებ-გვერდი/ სოციალური გვერდი/ადგილობრივი მედიის წერილები	სამიზნე ვეფების არანაკლებ 70% ინფორმირებულია მოშვებული ანგარიშისა და უკუკავშირის შესაძლებლობის შესახებ/ მიღებული უკუკავშირის რაოდენობა
		მოშვებული ანგარიშის, ანალიზისა და დასკვნების არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაცნობა და განხილვა	ანგარიშის შესაბამის საკონსულტაციო საბჭოებში და სხვა სოციალური მიმართულების ორგანიზაციებთან შეხვედრებზე განხილვა	ანგარიში ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციისთვის

ჩართულობითი სოციალური პოლიტიკის ფორმირებისათვის საჭირო მხარდამჭერი ღონისძიებები

ამოცანა/ ღონისძიება	აქტივობა	საშუალებები	ინდიკატორი
<p>ცნობიერების და მოტივაციის გაზრდა</p> <p>ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის თანამდებობის პირების, მეორის წარმომადგენლების და ადმინისტრაციული პერსონალის ცნობიერების ამაღლება მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ.</p>	<p>ჩართულობის მნიშვნელობის და საჭიროების ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზება, მესიჯების ჩამოყალიბება და მოქალაქეებისთვის მიწოდება, აქტიური ჩართულობისკენ მოწოდება და მის შედეგთანობაში დარწმუნება</p>	<p>ტრენინგები, სემინარი, კონფერენცია, საინფორმაციო შეხვედრა, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა</p>	<p>სოციალური სამსახურის ყველა თანამშრომელი და მეორის წარმომადგენელი აცნობიერებს ჩართულობის მნიშვნელობას და საჭიროებას</p>
<p>ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზება, მესიჯების ჩამოყალიბება და მოქალაქეებისთვის მიწოდება, აქტიური ჩართულობისკენ მოწოდება და მის შედეგთანობაში დარწმუნება</p>	<p>საინფორმაციო ბროშურის/ლიფლეტების მომზადება და გავრცელება, ხელმძღვანელი პირების მოსახლეობასთან შეხვედრების არსებული და ახალი ფორმატების გამოყენება, ელ.ფოსტა, მშპ, სოციალური მედია, ადგილობრივი ტელევიზია-პრესა, კარდაკარი, საეც. პროგრამა</p>	<p>ჩართულობის მნიშვნელობისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულია სამიზნე ჯგუფების არანაკლებ 70%</p>	<p>ყოველწლიურად ნახალისებულია არანაკლებ თითო მოქალაქე და ორგანიზაცია</p>
<p>ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზება, მესიჯების ჩამოყალიბება და მოქალაქეებისთვის მიწოდება, აქტიური ჩართულობისკენ მოწოდება და მის შედეგთანობაში დარწმუნება</p>	<p>სიგელი/სამახსოვრო კილოდი/პრიზის გადაცემა და გაშუქება სოციალური მედიით, ადგილობრივი ტელევიზიით-პრესით</p>	<p>ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულია სამიზნე ჯგუფების არანაკლებ 70%</p>	<p>ყოველწლიურად ნახალისებულია არანაკლებ თითო მოქალაქე და ორგანიზაცია</p>
<p>ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზება, მესიჯების ჩამოყალიბება და მოქალაქეებისთვის მიწოდება, აქტიური ჩართულობისკენ მოწოდება და მის შედეგთანობაში დარწმუნება</p>	<p>ჩართულობის არსებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და ბარიერების გამოვლენა. ელ.კლავირების გამოყენება და მარტივი გამოყენებისთვის ადაპტირება. (მ.შ. მონაწილეობითი ბიუჯეტის) ვიდეო ინსტრუქციების და ვიზუალური მასალების განთავსება.</p>	<p>ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულია სამიზნე ჯგუფების არანაკლებ 70%</p>	<p>ჩართულობის არსებული მექანიზმების ეფექტიანობა შეფასებულია. ჩართულობის ელექტრონული პლატფორმები აქტიურია და ადაპტირებულია სხვადასხვა საჭიროების მექანე პირებისთვის (ხანდაზმული, სმენდაქვევებული, უსინათლოები) უკვაკვირო სწრაფი და მარტივი</p>

<p>რესურსების მობილიზება</p>	<p>შესასრულებელი ამოცანების გათვალისწინებით საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრა</p>	<p>კადრების სისტემატური გაძლიერება</p>	<p>თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება და მასთან მიმართებით არსებული კადრების კვალიფიკაციის შეფასება</p> <p>ტრენინგები, სემინარები, ვორკშოპები, რომელიც მოიცავს: თვითმმართველობაში/სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა; მოხელის ქცევის კოდექსი და მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები; პროგრამების/ პროექტების წერა და მართვა; ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ვიზუალიზაცია; მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი და სხვა.</p>	<p>საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია და კადრების კვალიფიკაცია შეფასებულია.</p> <p>ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება</p>
	<p>შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლების მობილვა</p>	<p>ვაკანტურ ადგილებზე ღია და სამართლიანი კონკურსის ჩატარება; სახელფასო განაკვეთების გადახედვა</p>	<p>ვაკანტურ ადგილებზე ღია და სამართლიანი კონკურსის ჩატარება; სახელფასო განაკვეთების გადახედვა</p>	<p>ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კვალიფიკაციურ კადრებს აქვთ ფინანსური მრტივაცია</p>
	<p>ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ფუნქციების და სტრუქტურის გადახედვა და საჭიროების მიხედვით კორექტირება</p>	<p>ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ფუნქციების და სტრუქტურის გადახედვა და საჭიროების მიხედვით კორექტირება</p>	<p>სამსახურების ფუნქციებისა და სტრუქტურების ეფექტიანობის ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების მომზადება</p>	<p>სამსახურების დებულება შესაბამის ეფექტური ფუნქციონირების პირობებს</p>
	<p>პოლიტიკის ციკლის ყველა ლონისძიებების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის შეფასება</p>	<p>საჭირო რესურსების(ადამიანური, ფინანსური) მობილიზება</p>	<p>არსებული რესურსების ოპტიმიზების შესაძლებლობის და დამატებით საჭირო რესურსის(ფინანსური, ადამიანური) ანალიზი</p>	<p>არსებული ფინანსური შესაძლებლობების და დამატებით საჭირო რესურსების ანალიზი მომზადებულია</p>
	<p>საჭირო რესურსების(ადამიანური, ფინანსური) მობილიზება</p>	<p>არსებული შესაძლო წყაროების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ადვოკატირება</p>	<p>არსებული შესაძლო წყაროების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ადვოკატირება</p>	<p>ანალიზი მომზადებულია</p>
	<p>არსებული შესაძლო წყაროების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ადვოკატირება</p>	<p>არსებული შესაძლო წყაროების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ადვოკატირება</p>	<p>არსებული შესაძლო წყაროების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ადვოკატირება</p>	<p>რესურსების წყაროები და არსებული შესაძლებლობები იდენტიფიცირებულია. საადვოკაციო გეგმა შედგენილია</p>



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

ეს მასალა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CHCA, ASB საქართველო, KRDF და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.